პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის ----- მაისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, სამშენებლო კომპანია „ეკრანი+“ -ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09. 41 074) „მწვანე ქალაქი“ საცხოვრებელი უბნის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიციირების შეთანხმების თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 27 მაისის №48-48241488 წერილი , რომელშიც აღნიშნავს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, სამშენებლო კომპანია „ეკრანი +“-ის დირექტორის მინდობილი პირის ბესიკ ბუცხრიკიძის 2024 წლის 20 მარტის N19/482408070-03 წერილი, რომლითაც ითხოვენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.41.074) „მწვანე ქალაქი“ საცხოვრებელი უბნის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების თაობაზე თანხმობას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, სამშენებლო კომპანია „ეკრანი +“-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.41.074) მოხდეს „მწვანე ქალაქი“ საცხოვრებელი უბნის მშენებლობა, თანდართულ პროექტში წარმოდგენილი მასშტაბითა და შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ.გ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6-ე და მე-7-ე პუნქტების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებულ იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება - თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, სამშენებლო კომპანია „ეკრანი +“-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.41.074) მოხდეს „მწვანე ქალაქი“ საცხოვრებელი უბნის მშენებლობა, თანდართულ პროექტში წარმოდგენილი მასშტაბითა და შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერამე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48241488**
თარიღი: **27/05/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, სამშენებლო კომპანია „ეკრანი +"-ის დირექტორის მინდობილი პირის ბესიკ ბუცხრიკიძის 2024 წლის 20 მარტის N19/482408070-03 წერილი, რომლითაც ითხოვენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.41.074) „მწვანე ქალაქი" საცხოვრებელი უბნის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების თაობაზე თანხმობას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, სამშენებლო კომპანია „ეკრანი +"-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.41.074) მოხდეს „მწვანე ქალაქი" საცხოვრებელი უბნის მშენებლობა, თანდართულ პროექტში წარმოდგენილი მასშტაბითა და შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ.გ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6-ე და მე-7-ე პუნქტების შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება.

დანართი- პროექტი და საგენტოს პასუხი

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

30 / აპრილი / 2024 წ.

KARR0141004399224

№ **04/556**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) განიხილა თქვენი 2024 წლის 22 მარტის №48-482408264 (რეგისტრაციის ნომერი: 476/14; თარიღი: 22.03.2024) მომართვა, რომელიც ეხება წყალტუბოს რაიონის, სოფელ გუმბრაში, შპს "ეკრანი +"-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 22733 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 29.09.41.074) საცხოვრებელი ეკო უბანი - „მწვანე ქალაქი"-ს მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების თაობაზე შუამდგომლობას.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია გაიცეს წყალტუბოს რაიონის, სოფელ გუმბრაში, შპს "ეკრანი +"-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 22733 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 29.09.41.074) საცხოვრებელი ეკო უბანი - „მწვანე ქალაქი"-ს მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის (შემდგომში - "გდგ") ინიცირება შემდგომი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- ტერიტორია შესაძლებელია განვითარდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული დებულებების (შემდგომში - „დებულებები") მოთხოვნების შესაბამისად საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-3) პარამეტრებით (კ-1 – 0,5; კ-2 – 1,4; კ-3 – 0,3).

დამატებით გიგზავნით ტექნიკური დავალებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების ნიმუშს, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად. (იხ. ლინკი)

https://drive.google.com/drive/u/0/folders/1qUuQNONJtkDcANJb2gqAm5E1rJmg4TKY

პატივისცემით,

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

სამშენებლო კომპანია „ეკრანი“+ (ს/კ 402167123)
რეგისტრირებული
მისამართზე, ქ. თბილისი, დავით ყიფიანის 23, ბ79
დირექტორის
გიორგი ბაღაშვილის (პ/ნ 01007008582) მინდობილი პირი
ბესიკ ბუცხრიკიძე (პ/ნ 60001035973)
ტელ: 551277730
ელ.ფოსტა:besikbutskhrikidze6@gmail.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო გენადი

სამშენებლო კომპანია „ეკრანი +“ ს (ს/კ 402167123) საკუთრებაში აქვს სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი რომელიც მდებარეობს იმერეთში, რაიონი წყალტუბო , სოფელი გუმბრა საკადასტრო კოდი: 29.09.41.074 საერთო ფართობით 22733 კვ.მეტრი.

მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქუთაისი-წყალტუბოს ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეს 900 მეტრის მოშორებით შემაღლებულ ადგილზე, ნაკვეთი გარშემორტყმულია ხშირი და შერეული ტყის მასივით, რაც ნამდვილად ჰქმნის ეკოლოგიურ ჰარმონიას, აქაური სუფთა გარემო და გამჭირვალე ჰაერი უპირობო გარანტიაა, გააუმჯობესოს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების ხარისხი.

გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი უპირველესი ამოცანაა, სუფთა და კომფორტულ გარემოში ინოვაციური იდეებით და მიდგომებით ავაშენოთ სრულიად მწვანე ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი უბანი- “მწვანე ქალაქი“ თავის ავტონომიური ენერგოსისტემით. რომელიც შეძლებისდაგვარად მოშორებული იქნება ხმაურიან და გამონაბოლქვისგან დაბინძურებულ ქალაქს.

ჩვენი მიწის ნაკვეთი თავის უნიკალური მდებარეობით, სრულად იძლევა მსგავსი ტიპის პროექტის განხორციელების საშუალებას.

საცხოვრებელი ეკო უბან -“მწვანე ქალაქი“-სთვის

- ჰელიოს სისტემის საშუალებით ვგეგმავთ მზის სინათლის ენერგიის მიღებას, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს საცხოვრებელ კომპლექსის მომარაგებას და ჭარბი ენერგიის ხარჯზე შესაძლებელია მიეწოდოს მუნიციპალიტეტის გარკვეულ ობიექტებს;
- აგრეთვე ვგეგმავთ თერმული ენერგიის გამოყენებას, ზამთრის პერიოდში კომპლექსის გათბობის სისტემის უზრუნველსაყოფად;
- ეს პროექტი პირველ ყოვლისა ითვალისწინებს განაშენიანებულ ტერიტორიაზე ელექტომობილებით გადაადგილებას და ელექტრომობილებისთვის უფასო დასამუხტი სადგურების მშენებლობას;

საცხოვრებელი ეკო უბანი -“მწვანე ქალაქი“-ს არქიტექტურული პროექტის კონცეფცია
მდგომარეობს შემდეგში, მიწის ნაკვეთის ფორმისა და ფართობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შენობა ნაგებობების წრიულად გნვითარება, მზის სხივების ანლოგიურად გაშლა, მსგავსი ტიპის განლაგება ჰაერის მასების თანაბარ გადანაწილებას უწყობს ხელს, რაც
თანაბრად და იდეალურად ანიავებს კომლექსში შემადგენელ ყველა შენობას.

გიგზავნით საცხოვრებელი ეკო უბან -“მწვანე ქალაქი“-ს პროექტის კონცეფციას, დანართის სახით, გთხოვთ გაეცნოთ და შეგვითანხმოთ ეკო უბან -“მწვანე ქალაქი“-ს ინიცირების პროექტი.

პატივისცემით ბესიკ ბუცხრიკიძე

განმცხადებლის სახელი, გვარი: ბესიკ ბუცხრიკიძე
/ხელმოწერა/

თარიღი: 19.03.2024წ

მწვანე ქალაქი

ეკოუბნის ინფრასტრუქტურის მონახაზი

მწვანე
ქალაქი



საცხოვრებელი უბანი - „მწვანე ქალაქი“

იმერეთის მხარის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელი გუმბრა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე , საერთო ფართობით - 22733 კვ.მ. (ს/კ 29.09.41.074) გათვალისწინებულია თანამედროვე საცხოვრებელი ეკოუბნის -“მწვანე ქალაქი“ -ს გაშენება.

წყალტუბოს რაიონი გამორჩეულია განსაკუთრებული ბუნების სილამაზით, მიწის ნაკვეთი გარშემორტყმულია ხშირი და შერეული ტყის მასივით, რაც დღევანდელი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე მეტად მიმზიდველს ხდის ამ მონაკვეთში საცხოვრებელი უბნის განაშენიანების პერსპექტივას.


მიწის ნაკვეთზე რელიეფი არის საშუალო სირთულის, მცირედით ბორცვიანი, მომრგვალებული ნაწიბურებით, დისკოს ფორმის. ნაკვეთი მდებარეობს ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის ცენტრალური მაგისტრალიდან მარჯვენა მხარეს 900-1200 მეტრში, ხოლო ზღვის დონიდან 120 მეტრის სიმაღლეზე.

საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილი კოეფიციენტის გათვალისწინებით კ1 -0.3; კ2-1.6; კ3-0,3 , მიწის ნაკვეთის პარამეტრებიდან გამომდინარე მიახლოებული გათვლებით, ასაშენებელი ფართობი შეადგენს 28 000 კვ. მეტრს.

მწვანე ქალაქი

RAN
ILDING COMPANY

საცხოვრებელი უბანი - „მწვანე ქალაქი“



მწვანე
ქალაქი

RANI
BUILDING COMPANY

საცხოვრებელი უბანი - „მწვანე ქალაქი“

ეკოუბანში „მწვანე ქალაქი“ დაპროექტდება სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, საცხოვრებელი მრავალბინიანი სახლები (5-6), საცხოვრებელი ერთბინიანი დაბალ სართულიანი სახლები(1-2), საბავშვო ბაღი, სკოლა, აფთიაქი, ამბულატორია, სავაჭრო მოლი, ჰიპერ და სუპერმარკეტები, გასართობი და შემეცნებითი ობიექტები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები, კვების ობიექტები, აგრარული მარკეტები, ფიტნეს დარბაზები, დასასვენებელი ტყე-პარკი, მინი სპორტული მოედანი და სხვა...


ნავარაუდევია, საშუალოდ 300 ოჯახზე გათვლილი უბანის გაშენება, რაც პირდაპირ მიუთითებს საცხოვრებელი უბნის ინფრასტრუქტურის სწორად დაგეგმასა და განვითარების მიზანშეწონილობაზე.

ფრიად მნიშვნელოვანია ლანდშაფტის ჰარმონიზაცია. სწორად შემუშავებულ ლანდშაფტის კეთილმოწყობის გეგმაზეა დამოკიდებული მთლიანად სამშენებლო ტერიტორიაზე დასაგეგმი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.


მწვანე ქალაქი

RAN
LDING COMPANY

წყალტუბოს რაონი სოფელი გუმბრა
(ს/კ 29.09.41.074)



საპროექტო მიწის ნაკვეთი (22733კვ.მ)



მწვანე
ქალაქი

RANI
BUILDING COMPANY

კომპლექსამდე მისასვლელი გზის ტრაექტორია



მწვანე
ქალაქი

RAN
ILDING COMPANY

საინჟინრო პროექტები და კომუნიკაცია

საპროექტო მიწის ნაკვეთის განაშენიანების გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ხაზობრივი ნაგებობა- ლოკალური საკომუნიკაციო საინჟინრო ქსელების სისტემის გამართულობა, რომლებიც იქნება გამოყენებული საერთო სარგებლობის მიზნით.
დასახლებულ უბანში შენობა-ნაგებობის მომსახურებისათვის აუცილებელი წყალმომარაგების, წყალარინების, აგრეთვე უკაბელო ან საკაბელო საკომუნიკაციო ხაზები/ქსელებიის მოწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წყლის რესურსებით მდიდარია, მსხვილ დასახლებულ პუნქტებში წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება.
საბოლოო მომხმარებლებისთვის წყლის დაუბრკოლებლად მიწოდება ყველგან, ბოლო წლებშიც კი, ვერ ხერხდება.

აღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით საცხოვრებელი კომპლექსში ეკოუბანი „მწვანე ქალაქი“ წყალმომარგება მოხდება ჭაბურღილების საშუალებით.
წყლის საძიებო სამუშაოების დაგეგმვისას ნაკადების და დონეების მიხედვით შერჩეულ წერტილებზე მოხდება ჭაბურღილის მოწყობა წყლის მაქსიმალური დებეტის მისაღებად.

საპროექტო ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე წყლის მაქსიმალური დებეტის მისაღებად ჭაბურღილის სარეკომენდაციო სიღრმე არის 70-100 მეტრი. არტეზიული წყლის ნაკადების შემოდინება საშალოდ იწყება დაახლოებით 43-70 მეტრიდან 100 მეტრამდე ფენებში.

საინჟინრო პროექტები და კომუნიკაცია

საპროექტო მიწის ნაკვეთი ქ. ქუთაისიდან 3 კმ-ში და წყალტუბოდან 5 კმ-ში მოშორებულია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გავრცელებულია ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, რის გამოც საშუალო წლიური ტემპერატურა შენარჩუნებულია- 15°C. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა - 28-30°C, იანვარ-თებერვლისა კი - 5°C.

ჰაერის ტემპერატურის მხრივ წყალტუბო ერთ-ერთი თბილი კუთხეა საქართველოში, გარდა ამისა ეს კუთხე არის სამკურნალო თერმული წყლებით გაჯერებული.

პროექტში „მწვანე ქალაქი“ ამიტომაც თამამად იგეგმება თერმული ენერგიის გამოყენება, ზამთრის პერიოდისთვის კომპლექსის გათბობის სისტემის უზრუნველყოფის მიზნით.

თერმულიენერგიის გამოყენება გათბობა-გაგრილების, კონდენცირებისა და ცხელი წყლების ღირებულების 75% - მდე შემცირების საშუალებას მისცემს მოსახლეობას.

საინჟინრო პროექტები და კომუნიკაცია

მწვანე ქალაქი

საპროექტო ტერიტორიაზე გამიზნულია საცხოვრებელი უბნის - „მწვანე ქალაქი“ განაშენიანება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ავტონომიური ენერგო მომარაგების სისტემით.

„მწვანე ქალაქი“ ითვალისწინებს მზის ენერგიის მაქსიმალურ გამოყენებას, ჰელიოს სისტემების საშუალებით.ჰელიოს სისტემების გამოყენებით ხდება მზის სხივების ენერგიის გარდასახვა ელექტროენერგიაში.

ასეთი მეთოდით გამომუშავებული ელექტროენერგია იძლევა სუფთა და საიმედო ენერგიის გამომუშავების საშუალებას.

გამომუშავებული სიმძლავრის გარანტია არის მინიმუმ 20 წელი და ამ ვადაში შესაძლებელია თითოეული მომხმარებლის ელექტროენერგიის დანახარჯების კომპენსაცია.

ჰელიოს სისტემების გამოყენებით მიღებული მზის სინათლის ენერგია მოემსახურება არა მხოლოდ „მწვანე ქალაქს“, არამედ ჭარბი ენერგიის ხარჯზე შესაძლებელია მიეწოდოს მუნიციპალიტეტის გარკვეულ ობიექტებს.

RANI
LDING COMPANY

საინჟინრო პროექტები და კომუნიკაცია

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივლისის N260 დადგენილებით, ტერიტორიაზე, რომელზეც განლაგებულია ან პროექტდება შენობა ნაგებობები, მსგავსი ტიპის არეალი წარმოადგენს განაშენიანებულ სტრუქტურას, ისეთს, როგორიცაა, კვარტალი, უბანი, მიკრორაიონი და სხვა.. პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისასვლელი გზებით და ქუჩებით.

საპროექტო ნაკვეთამდე ჩვენს შემთხვევაში მისასვლელი არის 4 მეტრიანი სიგანის ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის გრუნტის გზა. ტერიტორია ძირითადად ხასიათდება კირქვა და ბენტონიტური თიხის შემადგენლობით.

ამიტომ საგზაო ქსელის დაპროექტების დროს საყურადღებოა გრუნტის ხასიათი და მაქსიმალურად გამოსაყენებელია მაგარი საფარის მქონე არსებული გზა. მოხვევის კუთხის გათვალისწინება გრძივ ქანობზე ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის დამატება და დატკეპნა დაპროფილება.

გარკვეულ უბანზე საჭირო იქნება ასფალტობეტონის საფარის მოწყობა ხოლო გარკვეულ უბანზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობა.
კომპლექსის შიდა ტერიტორიაზე კი მეტნაწილად შესასრულებელი იქნება ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები, გზის გეგმის და გრძივი პროფილის დაპროექტება არსებულის მიწის ვაკისის მაქსიმალური შენარჩუნებით.

მწვანე
ქალაქი



პროექტის კოორდინატორი
ბესიკ ბუცხრიკიძე
ტელ.551 27 77 30
ელ.ფოსტა:
besikbutskhrikidze6@gmail.com

irefox

http://notary.naprvpn/notary/CoverPage.do?variant=2&actId=30207761

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31636493163924

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240125172

რეგისტრაციის თარიღი

02.02.2024 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

13-Jan-24, 18:35

ქ. თბილისი ოცდაათი წლის ორი თებერვალს
მე, ნოტარიუსი ნანი სიდამონიძის ბინა სამოქალაქო პალატაში
დირექტორის ბატონის
ბეთრი ბალამელი რომელმაც წარმოადგინა მისი
მე დავადგინე მისი პირადობა
დაკმაყოფილდა, რომ ნამდვილად ბეთრი ბალამელი
მე შევიტყვე მისი უფლებამოსილება
დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო
მისამართით: თბილისი,
23/01/2024 წ.).
მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა
მეჩნდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების
მიწდობილობა წარმოდგენილი
გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მიწდობილობას:

ორასის ოცდაათი წლის ორ თებერვალს
402167123) დირექტორი
რიგორც „მარწმუნებელის", საზოგადოების სახელით ვანჯგს შემდეგ უფლებამოსილებას:
ნებისმიერი მიწის ნაკვეთი, მასზე ახალი მშენებლობის წარმოების მიზნით, დადოს გარიგება თავის შეხედულებისამებრ ნაკვეთის
მესტრონე(ებთან), გააფორმოს ხელშეკრულება და დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. აწარმოოს
მშენებლობა, წარმოშობილი ფართები მართოს და განკარგოს: გაყიდოს, დატვირთოს იპოთეკით (რწმუნებულის ან მესამე პირის
ვალდებულების უზრუნველსაყოფად), გადაფორმოს თავის თავზე, გამოჯნოს, გაასხვისოს, გაჩუქოს, გაერთიანოს, გაყოროს და
სხვა. ამის შესაბამისად იყოს „მარწმუნებელის" წარმომადგენელი ყველა საჯარო ინსტანციაში, ადმინისტრაციულ ორგანოებში,
კომპეტენტურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაცია დაწესებულებაში, ნებისმიერ კერძო და იურიდიულ პირებთან,
არქივებში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამხანაგო ფირმებში, მაზრველებთან,
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, საკრებულოში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, სსიპ საქართველოს
იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქალაქის მერიისა და არქიტექტურის სამსახურში, მათდამი
დაქვემდებარებულ სამსახურებში, ორგანიზაციებში, განყოფილებებსა და კომისიებში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის
სამინისტროში, ზედამხედველობის სამსახურში, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი სახის
დოკუმენტაცია/ცნობები/შოწმობები ყველა პირისაგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს შპს „ეკრანი+" ინტერესები
არქიტექტურულ სამსახურში, აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაბაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო
დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ გეგმარებითი დავალება, ასევე მიიღოს მშენებლობის
ნებართვა, განახორციელოს ნებისმიერი ცვლილება შპს „ეკრანი+" კუთვნილ ნივთზე მათ შორის მოახდინოს უძრავი ქონების
ფართების დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია, რეგისტრაციის შეწყვეტა, გამოჯნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული
ნაწილის მიერთება მიმდებარეთ არსებულ სხვა უძრავ ნივთთან/ნაკვეთთან,მოახდინოს და განახორციელოს ყოველგვარი
ცვლილებები უძრავ ქონებაზე, თავის შეხედულებისამებრ განსაზღვროს გარიგების პირობები და ფასი, მიიღოს ნასყიდობის თანხა,
დადოს გარიგება თავის თავთან, დადოს კანონით ნებადართული ნებისმიერი გარიგება სხვასთან, დაარეგისტრიროს საჯარო
რეესტრში განშლა, მართოს განშლის შედეგად წარმოშობილი ფართები, გამოჯნოს, გააერთიანოს, „მარწმუნებელის" სახელით ხელი
მოაწეროს ნასყიდობის, იპოთეკის, გამოჯნის, გაერთიანების და სხვა ყველა დანარჩენ შესაბამის ხელშეკრულებებს, საჭიროების
შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები დადებულ ხელშეკრულებებში. მიიღოს მონაწილეობა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების მსვლელობაში და მიიღოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება, „რწმუნებული"
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების მსვლელობაში და მიიღოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება, „რწმუნებული"
უფლებამოსილია აწარმოოს შპს „ეკრანი+" -ის ს/კ(402167123) სახელით და მის მაგივრად:
მართოს, განკარგოს, გახსნას და დახუროს ყველა და ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიშები მათ შორის ანაბრები ნებისმიერ ბანკში
და აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია. ასევე, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ხელშეკრულებას/შეთანხმებას და
შესრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან; დაარეგისტრიროს, მართოს,
ისარგებლოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს ბანკი-ს ნებისმიერი პროდუქტი/სერვისი (მათ შორის ელექტრონული
პროდუქტები,სერვისები,პლასტიკური ბარათები,კონცეპტ(სტატუს) მომსახურება და ა.შ). ხელი მოაწეროს ნებისმიერ
დოკუმენტს/ხელშეკრულებას/შეთანხმებას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების
შესრულებასთან; დაამზადოს, განაახლოს და გაიტანოს ნებისმიერი ბარათი. დაარეგისტრიროს/შეცვალოს/განაახლოს მობილური
და მობილური სმს ნომერი,იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკთან და აწარმოოს ნებისმიერი სახის სამართლებრივი

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარძალიანელოვან ეგზემპლიარად, რომლის ერთი ეგზემპლიარი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

გადახდილია – 40.40 ლარი, აქედან: სანოტარო საზღაური 30 (ოცდაათი) ლარი , თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დაწესებული საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა, დღგ 5.40 ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5 ლარი , თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი _____

/ ნანი სიდამონიძე /

